ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №192

27 ივნისი 2014 წ.

უძრავ ქონებაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების

რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ,ბ.“ ქვეპუნქტების, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილების, ს.ს.ი.პ. „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“–ს 2014 წლის 13 ივნისის №5/21808 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. უძრავ ქონებაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – „საჯარო რეესტრი“), რათა განახორციელოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დანართში მითითებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.
2. საჯარო რეესტრში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ვლადიმერ ლომთათიძეს (პ/ნ – №46001002560).
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი

დანართი

დამტკიცებულია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის 2014 წლის 27 ივნისის N192 ბრძანებით

№	დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	შენიშვნა
1	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, სოფ. კოხნარი	22.00	
2	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, სოფ. საჭამიასერი	2632.00	
3	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, სოფ. საჭამიასერი	408.00	
4	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ჩოხატაური, სოფ. დაბლაციხე	8117.00	